F75 ✓5134

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 დეკემბერი კვირა 1 ნოემბერი № 251 (18193) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ДИРЕКТИВЕБИ ZAMTARSHI

ДИРსეულად შევსვდეთ ოქტომბერს!

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ისწავლეთ იცხოვროთ, იშრომოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად! სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

ცხინვალი

მოემზადებულია სადენების ქარხნის პროდუქცია კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ახლა ამ საწარმომ სუფთენერებთაც გაითქვა სახელი. ყვითელი ოქროსფერი სადენების ნარჩენებისაგან აქ სუფთენერების დამზადება დაიწყეს.

მხატვრული ნაწარმოებები — „ჩექმებიანი კატა“, „ოლიმპიური დათუნია“, „ქალიშვილი“ მოსწონს მომხმარებელს. მავთულებით ამღერებული სახეები დიდ ოსტატობას მოითხოვს. საამქროს მოწინავე მუშების ნ. ტელემინას და ლ. კარაპეტოვას, ზ. ჯიჯიეკას და სხვათა ნახელავი წარმატებით იყიდება ცხინვალის მაღაზიებში.

სუფთენერების საამქროს კოლექტივმა 10 თვის გეგმა კარგა ხანია შეასრულა. წლიურ დავალებას ცხინვალელები 7 ნოემბრისათვის გაანაღდებენ. (საკ. კორ.).

ფოთი

დიდ წარმატებებს აღწევს მიმდინარე წელს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი (დირექტორი შ. ფურნუმია), წარმადნელ შესაბამის პერიოდთან შედარებით აქ პროდუქციის გამოშვება 35,4 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 28,1 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია კომბინატელთა მიღწევები აგრეთვე პროდუქციის ნარჩენების გაუჯრობისებისათვის ბრძოლაში. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული ნაწარმის დამზადების ათი თვის დავალება ფოთელებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს.

კომბინატის ქვიშის მომპოვებელი კარიერის კოლექტივმა, რომელსაც გული გიგიბერია ხელმძღვანელობს, უკვე უპატაკა სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის ამ მიჯნის დადგომ კუბრეშვილის სამკერვალო საამქროს კოლექტივიც დაძლევს. („კომუნისტის“ კორ.).

კასპი

ამ დღეებში კასპის „ელექტროაპარატის“ ქარხანამ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და კუბაში მოგრიგი საექსპორტო პროდუქცია გაგზავნა. ეს არის მაგნიტური სადგურები, რომლებზეც ზემოხსენებულ ქვეყნებში დიდი მოთხოვნაა.

დღეს კასპელები თავიანთ პროდუქციას მსოფლიოს 30 ქვეყანას აწვდიან. ფართოდდება ქარხანა. იზრდება მისი საწარმოო სიმძლავრეები. ამჟამად აქ გამოცდას გადის მანაწილებელი ძალოვანი ელექტროკარადები, რომლებსაც ფართოდ გამოიყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ახალი პროდუქციის ათვისებაზე ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორებთან ერთად ნაყოფიერად შრომობდნენ ზეინკალი რაკონალიზატორები ბ. გუციშვილი, ბ. ნონიაშვილი, ჯ. მუჟედლიშვილი და სხვები . („კომუნისტის“ კორ.).

სახელმწიფო მარანში ჩაბარებულია 750.000 ტონა ყურძენი

საქართველოს მევენახეებმა ძალიან იმარჯვეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავის წინ მათ სამშობლოს უპატაკეს, რომ ოცი ათასი ტონით გადააჭარბეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულების შესრულებას. დამამზადებელმა სტრუქტურებმა და გადამმუშავებელმა საწარმოებმა მიიღეს 750 ათასი ტონა ყურძენი.

მევენახეთა წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი მიღწეულია წლევანდელი ფრიად რთული ამინდის პირობებში. 1981 წლის რთველისაკენ მიმავალი გზა უკანასკნელ წლებში ერთ-ერთი ყველაზე ძნელი გამოდგა. ამ სეზონში თითქოს ყველაფერი მევენახეთა წინააღმდეგ იყო: გაქაანურებული გაზაფხულიც, წვიმიანი ზაფხულიც, სეტყვაც და რაც მთავარია, ვაზის დაავადების არნახული ეპიდემია. ამინდის ჭირვეულობას სოფლის მშრომელებმა დაუპირისპირეს ორგანიზებულობა და თავდადებული შრომა. მევენახეობის ყველა რაიონში პრაქტიკულად ყველა მეურნეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მეოხებით ვენახები დადაარჩინეს. ახლა შეგვიძლია ვთქვათ: ქართველმა მიწათმოქმედებმა ძნელი გამოცდა ჩაბარეს.

ხუთწლედის პირველი წლის მოსავლისათვის ბრძოლაში დიდი ოსტატობისა და შრომითი გმირობის ნიმუში გვიჩვენა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მექანიზებული ბრიგადებისა და რგოლების ბევრმა კოლექტივმა.

ყველაზე დიდი სიძნელეები წილად ხვდათ გურჯაანის რაიონის მევენახეებს, რესპუბლიკაში ყველაზე უხვი ყურძნის მოსავალი კი სწორედ გურჯაანის რაიონმა მოიწია. გურჯაანელებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი: მოკრიფეს 159315 ტონა ყურძენი — გეგმაზე 24 ათასი ტონით მეტი.

საგეგმო მაჩვენებლებს გადააჭარბეს სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელებმა.

მომზადებული შეხვდნენ რთველს დასავლეთ საქართველოს მევენახეები, სადაც ახლა გადაინაცვლა რთველმა: სწრაფი ტემპით კრეფენ ყურძენს ორჯონიკიძის, ზესტაფონის, თერჯოლისა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

საქართველოს მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურ თათბირზე გურჯაანში დასახეს ახალი მიჯნა საქართველოს დიდი ყურძნისათვის — 800 ათასი ტონა. და რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიპყრონ ეს მიჯნა. რთველი გრძელდება.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვით

პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კოჩოიანი ღრმად ჩაწვდა რაიონის ეკონომიკას, გაერკვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის დეტალებში, საკუთარი სამეურნეო და პარტიული მუშაობის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სპეციალისტებთან მოთათბირების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბოგდანოვკის რაიონს დიდი შესაძლებლობები აქვს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ნაზვრად გამოიყენება. რაიონში, რომლის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 71.200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვთ, შეუძლიათ მოკლე ვადაში ერთიორად გაზარდონ ხორცისა და რძის წარმოება, მოაწყონ თევზის, თაფლის წარმოება.

ამხანაგმა კოჩოიანმა აწონ-დაწონა ყველა შესაძლებლობა, დასახა გეგმები და განსაზღვრა პრობლემები, რომელთა შესრულება მოითხოვს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო ორგანოების ჩარევას, და წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიკომის მდივნის წერილი შეაფასა როგორც პრინციპული, სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისადმი მისი მიდგომა — როგორც პარტიული, სახელმწიფოებრივი და წერილის გამო სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაიზიარა პარტიის რაიკომის მდივნის აზრი იმის შესახებ, რომ ბოგდანოვკის რაიონის მდიდარი შესაძლებლობების გამოყენებას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ რესპუბლიკური საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი რაიონში სამეურნეო წესით მეცხოველეობის სადგომების შშენებლობის საკითხები, დიდი მასშტაბის კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება სათიბებისა და საძოვრების ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის. მეურნეობები საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკითა და ავტოტრანსპორტით .

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონის პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა მთავარი ამოცანა — მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის გაზარდოს საზოგადოებრივ მეურნეობებში ძროხების სულადობა 15.000 სულამდე, მათ შორის მეწველისა 12.000 სულამდე, საშუალო წველადობა გაადიდოს 2.500 კილოგრამამდე, რძის წარმოება 30.000 ტონამდე და ხორცისა — 7.500 ტონამდე.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შედგენისას კაპიტალდაბანდებათა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფისას გაითვალისწინონ მთავარი ამოცანა, რომელიც ბოგდანოვკის რაიონის წინაშეა დასახული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებებიც, რომლებიც ითვალისწინებს სახორცე მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობათა შესწავლას ბოგდანოვკის რაიონში, იმ პრობლემათა გადაწყვეტას, რომლებიც დასახულია ამხ. ვ. კოჩოიანის წერილში, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამების შესრულებაში რაიონის წვლილის გადიდებისათვის ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების მიზნით. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვით

მთლიანად აღმოვფხვრათ ვაგონების მოცდენა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი თათბირი, რომელზეც განიხილეს რკინიგზის ვაგონების განტვირთვის სამუშაოთა მიმდინარეობა. როგორც ვიცით, რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს ფართოდ გაიშალა ბრძოლა ვაგონების მოცდენის ლიკვიდაციისათვის. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში, დიდ საწარმოებში შექმნილი სატრანსპორტო კომისიები ახორციელებენ ტვირთბრუნვის დაჩქარების ღონისძიებებს.

თათბირზე მოისმინეს ქალაქ ცხინვალის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, გურჯაანის, გულრიფშის, იმ სხვა რაიონების წარმომადგენელთა ინფორმაციები, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა შეფერხებანი გადმოტვირთვის საქმეში, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ ვაგონების განტვირთვის მყარი რიტმის უზრუნველყოფისათვის გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ამ მნიშვნელოვან საქმეში კვლავინდებურად ნაკლოვანებებია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ცალკეულ სადგურებში დღეების განმავლობაში დგას 10,30 და მეტი ვაგონი. ეს საწარმოთა ხელმძღვანელების, სადგურების ხელმძღვანელებისა და მუშაკების უთანაბრიგობის, უდისციპლინობის, პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვის შედეგია.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს საჭირო რაოდენობის თბომავალთა ნაკლებობა, მათი დაგვიანებული შეკეთება, სხვა ნაკლოვანებანი.

თათბირმა მოსთხოვა იმ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ვაგონების დამუშავების მდგომარეობისათვის გამოიჩინონ მეტი სიმტკიცე, ოპერატიულობა, საბოლოოდ გადაწყვეტონ წამოწერილი პრობლემები, დარაზმონ კომუნისტები ვაგონების მოცდენის სრული ლიკვიდაციისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა. (საქინფორმი).

მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით

30 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ. ფონ შტადენი, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განეოალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით. (საკდესი).

პარადის მონაწილეთა კრება

31 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წითელ მოედანზე მოსკოვის გარნიზონის ჯარების მომავალი სამხედრო პარადის მონაწილეთა საზეიმო კრება.

კრებაზე გამოვიდა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. გ. ლუშევი. მომავალი პარადის მონაწილეთა სახელით მან აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ პარადის მონაწილე ნაწილების პირადი შემადგენლობა ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას არ დაიშურებს, რათა პირნათლად შეასრულოს მის წინაშე დასახული საპატიო ამოცანა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი (საკდესი).

ასპიროზის შესახვედრად

საგზოთა ავტომატური საპლანეტათაშორისო სადგურების მეშვეობით ვენერას შესწავლის ოცი წლის თავი ახალი სტარტით აღინიშნა. 30 ოქტომბერს ცისკრის ვარსკვლავთან — ასპიროზთან შეხვედრისათვის გაეშურა დედამიწის მორიგი დესპანი. ახალი ნაბიჯი გადადგა დედამიწასთან უახლოესი, მზის სისტემის პლანეტის საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე.

ფრენის მართვის ცენტრის დიდ ეკრანზე ვარსკვლავური ცის რუკა მოჩანს. შავ ფონზე ნათელი წერტილებით არის აღნიშნული პლანეტები და ვარსკვლავები. დღეს, 30 ოქტომბერს, იეწყება ეკრანი, ვენერა გველისმჭერისა და მშვილდოსნის თანავარსკვლავედებს შორის მოძრაობს. ახლა 113 მილიონ 516 ათასი კილომეტრი ჰყოფს დედამიწასა და ვენერას. და მაინც, ამ წუთებში დარბაზში მყოფთა ყურადღება ამ, მართლაც და, გამაოგნებელი ციფრებისადმი როდია მიპყრობილი. ფიქრით ახლა ყველანი კოსმოდრომზე არიან, სადაც უკანასკნელი სასტარტო სამზადისი მიმდინარეობს.

„გამოცხადებულია წუთიერი მზადყოფნა.“

ამავე კომანდით დაიწყო 1961 წლის 12 თებერვალს პროგრამა „ვენერა“. ამავე წლის მაისში პირველმა ავტომატურმა სადგურმა ვენერას დაახლოებით 100 ათასი კილომეტრზე ჩაუარა. „ვენერა-2“, რომელიც 1965 წლის ნოემბერში გაფრინდა, ჩვენს მზისსისტემელ მეზობელს უკვე 24 ათასი კილომეტრით მიუახლოვდა, ხოლო „ვენერა-3“-მა, რომელიც მას მიჰყვა, ცისკრის ვარსკვლავის ზედაპირს მიაღწია. დამთავრდა კოსმონავტიკის ისტორიაში პირველი სალანეტათშორისო ფრენა.

და აი, ახლა ზაისმის კომანდა „გაშვება!“ — და „ვენერა-13“ ცაში აიჭრა.

გამოცდილებამ, რომელიც კონსტრუქტორებმა და მეცნიერებმა შეიძინეს პირველი სამი სადგურის ფრენის შემდეგ, შესაძლებლობა მოგვცა უკვე 1967 წელს მოგვიწყო ვენერას ატმოსფეროს ზონდირების უნიკალური ექსპერიმენტი. მეხუთე და მეექვსე სადგურებმა, რომლებმაც ესტაფეტა მიიღეს, ეს მონაცემები შეაგზავნეს 1969 წელს. თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო მერვე სადგურმა: 1972 წლის ივლისში მისი დასაშვები აპარატი პირველად დაჯდა პლანეტის დღის მხარეზე.

„პირველი საფეხური გამოიყო!“. კოსმოდრომიდან სულ უფრო მაღლა ცაში მიიწევს „ვენერა-13“. ისევე როგორც მისი წინამორბედნი, იგი ჯერ უნდა გავიდეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედური ორბიტაზე, მერე კი, დამატებითი გაქანების შემდეგ, გაიჭრას კოსმოსურ შორეთში.

უნებლიედ გვაგონდება „ვენერა-9“-ისა და „ვენერა-10“-ის სენსაციური ფრენა. 1975 წლის ოქტომბერში ისინი ასპიროზის პირველ თანამგზავრთა ორბიტაზე გავიდნენ, ხოლო მათმა დასაშვებმა აპარატებმა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში პირველად გადმოგვცეს სხვა პლანეტის ზედაპირის სტელევიზიო გამოსახულება. ისინი ზომავდნენ ატმოსფეროს ფიზიკურ-ქიმიურ და ოპტიკურ პარამეტრებს, იკვლევდნენ ლრუბლოვანი ფენის სტრუქტურას.

ძვირფასი ინფორმაციით გაამდიდრეს მეცნიერება სადგურებმა „ვენერა-11“ და „ვენერა“-12-მა. მათმა დასაშვებმა აპარატებმა პლანეტას 1978 წლის დეკემბერში მიაღწიეს.. შესაბამისად 95 და 110 წუთის განმავლობაში, პლუს 446 გრადუსი ტემპერატურისა და 88 ატმოსფერო წნევის მიუხედავად, ამ დანადგარებზე დაყენებული ხელსაწყოები დედამიწას გადმოსცემდნენ პლანეტის ზედაპირის მონაცემებს.

დღეს ახალი სტარტია. გაანგარიშებულ დროს . ორბიტაზე ჩაირთო გაქანების ბლოკის ძრავის დანადგარი. „ვენერა-13“-ის სიჩქარე წამში რვიდან თორმეტ კილომეტრამდე მატულობს. და აი, უკვე გაისმის ნატრი: „გაქანების ბლოკი გამოიყო! ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა“-13 დედამიწა-ვენერის ტრასაზე გავიდა“.

წინ არის 121 დღის ფრენა — დაახლოებით 360 მილიონი კილომეტრი გზა, წინ არის ახალი შეხვედრა „გამოცანების პლანეტასთან“ — ასპიროზთან.

ვ. ოვჩაროვი,
(საკდესის სპეც. კორ.).
ფრენის მართვის ცენტრი.

ПРАВДА

31 ოქტომბრის მოწინავე

ტის ჩახატარებლად ჯანმრთელობის კერა უნდა დაიბუროს. ამგვარი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, ...ენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა მკვეთრად უნდა აამაღლონ მომთხოვნელობა კადრებისადმი, მიაღწიონ, რომ საკურორტო ობიექტები შენდებოდეს რიგმოსილად, მაღალხარისხოვნად.

ყველგან როდია გადაწყვეტილი ჯანმრთელობის კერების უზრუნველყოფა სათბობით, სითბოთი და ელექტროენერგიით. 15 ოქტომბრისათვის მომარაგების ორგანოებმა მარტო პროფკავშირულ ჯანმრთელობის კერებს დაკალეს თითქმის 50 ათასი ტონა ქვანახშირი. ...ოლო „სტავროპოლენერგომ“ უკვე ზაფხულიდან დაიწყო ელექტროენერგიის შემცირება კავკასიის მინერალური წყლების კურორტებისათვის, რასაც განაგრძობს. სსრ კავშირის სახმომარაგებამ, მისი ტერიტორიულმა ორგანოებმა, ენერგეტიკის სამინისტრომ, გაზის მრეწველობის სამინისტრომ სანატორიუმ-საკურორტო დაწესებულებანი უნდა უზრუნველყონ სათბობით, მოაგვარონ მათი შეუფერხებელი მომარაგება სითბოთი, ელექტროენერგიით წლის მთელი ეკონომიკური პერიოდის მანძილზე. ხოლო ჯანმრთელობის კერების კოლექტივებმა მომეცნირნედ, ყაირათიანად უნდა ხარჯონ თითოეული კალორიგრამ ქვანახშირი, კუბური მეტრი გაზი, კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ენა ათწლეულში უწყებებისა და ხაწარმოების კუთვნილი დასასვენებელი ბაზების რიცხვი თითქმის გაორკეცდა. ახლა ექვსი ათასამდე მეტი ასეთი დასასვენებელი ბაზა გვაქვს. ამ ობიექტების მშენებლობაში დაბანდებულია დიდი სახსრები. მაგრამ ბაზების უმრავლესობა მუშაობს წლის მხოლოდ თბილ პერიოდში. მაგალითად, აზოვის ...ის ბერდიანსკის ნახევარკუნძულზე განლაგებულია მშრომელთა ...ასაკანაფლებელი და დასასვენებელი ოცდაათი საუწყებო დაწესებულება, რომლებიც გათვალისწინებულია 6,3 ათასი დამსვენებლისათვის. მათგან ხუთ პროცენტზე ნაკლებია გამოყენებული მთელი ...ის მანძილზე. ანალოგიური მდგომარეობაა ჩელიაბინსკის ოლქში, სადაც 850 საუწყებო დასასვენებელი ბაზიდან ბევრი წლის ...ოდ თბილ პერიოდში იღებს სტუმრებს.

...ამის უზრუნველყოფა, რომ რაც შეიძლება მეტი ჯანმრთელობის ...ა მუშაობდეს ზამთარშიც, — ნიშნავს შეეკმნათ დამატებითი ...ესაძლებლობანი მშრომელთა დასვენების ორგანიზაციისათვის. ამ ...ინ სამაგალითონი არიან პროფკავშირები, კურორტების მართვის ...ერატიფიული საბჭოები. მათ უკვე მთელი წლის რეჟიმზე ...ფიყვანეს დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების ნაწილი. ...ოგა ამისა, მთელი რიგი მხარეებისა და ოლქების საწარმოებთან ...ედეს ხელშეკრულებანი იმის შესახებ, რომ ზამთარში საუწყებო ...ნერთა ბანაკებს გამოიყენებენ საკურსო საგზურებით ჩამოსულ ...ედყოფთა, უმთავრესად ბავშვიანი მშობლების მოსათავსებლად. ...ინისტროებმა, გაერთიანებებმა, ქარხნებმა, კოლმეურნეობებმა და ...ბჭოთა მეურნეობებმა, რომლებსაც აქვთ დასასვენებელი ბაზები, ...ველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას.

...ასახლო დებუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა აქტიურად უნდა ...რმართონ ზამთრისათვის მათ ტერიტორიაზე განლაგებული სანა...ტორიუმ-საკურორტო დაწესებულებათა მომზადება, დაეხმარონ მათ ...ტორის პერიოდში მუშაობის მოგვარებაში. სწორედ ასეა დაყენებული საქმე ლატვიაში, ბელორუსიაში, ბაშკირეთში, კრასნოდარის ...ერეში. მაგრამ ამგვარი ზრუნვა აშკარად არ იგრძნობა მთელ რიგ ...ა ადგილებში. დიდ საყვედურს იწყვეს დასვენების, მკურნალობ...ა და მომსახურების ორგანიზაცია, მაგალითად, თურქმენეთის სა...ტორიუმში „ მოლა-კარა“.

...ანმრთელობის კერებში საქმის მდგომარეობა ყოველთვის უნდა ...ონ პარტიული კომიტეტების მხედველობის არეში. მათი მნიშვნელ...ანი ამოცანაა განამტკიცონ სანატორიუმ-საკურორტო დაწესებ...ლებანი კვალიფიციური კადრებით, იზრუნონ მუშაკთა იდეური ...ა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. სანატორიუმების, დასასვ...ებელი სახლების, პანსიონატების, პარტიულმა ორგანიზაციებმა ...და გააანალიზონ სოციალისტური შეჯიბრები კოლექტივებში, მი...�ონ, რომ თითოეული თანამშრომელი პატრიოტულად, კეთილსინდი...ერად ასრულებდეს დაკისრებულ საქმეს.

...ანატორიუმ-საკურორტო დაწესებულებათა კოლექტივების წინა...ა დგას კეთილშობილური ამოცანა, — ზამთრის პერიოდში უზრუნ...ელყონ მილიონობით მშრომელის მკურნალობისა და დასვენების ...ეიშუო ორგანიზაცია. ზუსტ, კეთილსინდისიერ მუშაობას უსახავს ...ა მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდება ...ა ხიტყვები ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისადმი:

— ᲧᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

სადღესასწაულო შრომის ვახტზე დგანან



თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას. აქაურმა მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ათი თვის სახელმწიფო დავალება. სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული № 8 ფრეზების საამქროს კოლექტივი, რომელიც დიდ შრომითს წარმატებებს აღწევს.

სურათზე: № 8 ფრეზების საამქროს მოწინავე ზეინკალი ე. სამხარაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 140 პროცენტით ასრულებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სურათზე: საჩხერის რაიონის მევენახეები გვპირდებიან წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდონ 7.100 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. ალიგოტეს, პინოსა და სხვა შამპანური ჯიშების ყურძენს სათუთად კრეფენ მიწათმოქმედები, რომლებიც ცდილობენ სანიმუშოდ დაამთავრონ რთველი. რაიონში ერთ-ერთი პირველები გამოვიდნენ ზვრებში სოფელ საირხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები. ისინი წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდიან 4 ათას ცენტნერ შამპანური ჯიშის ყურძენს.

სურათზე: საჩხერის რაიონის სოფელ საირხის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე ნანი სადღუნიშვილი.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ენავ!

სალიტერატურო ენის და მისი განვითარებისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი ზ. ა. პატარიძე.

კორესპონდენტი: პატივცემულო ზურაბ, თავისი ტრადიციებით ერთ-ერთი მდიდარი და სრულყოფილი ქართული სალიტერატურო ენა ამ ბოლო წლებში კიდევ უფრო განვითარდა და დაიხვეწა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა. ამ მზრუნველობის შესანიშნავი გამოხატულებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც თქვენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობთ.

ზ. ა. პატარიძე: დიახ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციასა და მთელ ქართველ მოსახლეობაში ამ უნიფიცირებულ ნორმათა გავრცელებასა და დამკვიდრებას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანადაა დასახული. ამის გამოხატულებაა ისიც, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმის მოგვარება აქვს დაკისრებული და რომლის მიერ მიღებული დადგენილებები კანონია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის, საკავშირო ენებისათვის, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქებისა და ეროვნული ენებისა ... ენისათვის.

ცნობილია, რომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას დამკვიდრებისთანავე თან დაჰყვა პარალელური, სადავო ფორმები. ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წრეები იმთავითვე დაინტერესდნენ ამ სადავო საკითხებით და ცდილობდნენ მათ მოგვარებას. შემდგომ ამგვარ ცდებს სისტემატური ხასიათი მიეცა, ხოლო განსაკუთრებით გაძლიერდა და მყარ, მეცნიერულ საფუძველზე დაედგა სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა და უნიფიკაციის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც კულტურული რევოლუციის შედეგად არნახულად გაიზარდა ქართული სალიტერატურო ენის როლი და გამრავლდა მისი ფუნქციები. ქართული სალიტერატურო ენა დიდად გამდიდრდა, და სადავო საკითხთა მოწესრიგება აუცილებელი გახდა.

ამ მუშაობას განსაკუთრებით ეგზემპლარული და სისტემატური ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სადირექტივო ორგანოების, ქართული მწერლობის, საინჟინერო დაწესებულებათა, სხვა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ლიტერატურისა და პრესის მუშაკები და, რა თქმა უნდა, ქართული ენის სპეციალისტები.

კომისია ხელმძღვანელობს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მიზნით, რომ ქართული სალიტერატურო ენა იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შეშენილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად ემსახურებოდეს ქართველ ხალხს როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი.

კომისია სისტემატურად აღრიცხავს, შეისწავლის და აწესრიგებს სადავო საკითხებს მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის დარგში, განსაზღვრავს საჭირო შემთხვევებში დასაშვებ პარალელურ ფორმებს ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებით, ერთიანი ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენის ორთოგრაფიული და სინონიმთა ლექსიკონების, ტაბულებისა და სხვა დამხმარე საშუალებათა შემუშავებას, დადგენილი ნორმების დანერგვას სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, რედაქცია-გამომცემლობებში.

კორესპონდენტი: გთხოვთ, მოგვითხროთ კომისიის მუშაობისა და მის მიერ დადგენილი ნორმების ქართულ სალიტერატურო ენაში დანერგვის შესახებ.

ზ. ა. პატარიძე: კომისიას შემუშავებული აქვს სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები, რომელთა საფუძველზე სისტემატურად შეისწავლის ბეჭდვითის პროდუქციას (სახელმძღვანელოებს, პოლიტიკურ, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს), ავლენს მოსაწესრიგებელ საკითხებს მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის ასახავს ქართული ენის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას.

გაწეული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დამუშავებულიყო და გამოცემულიყო ქართული ენის ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი. თავის დროზე მოეწყო ამ ლექსიკონის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, მეცნიერებმა, უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებმა. ამჟამად გამომცემლობა „განათლებას“ გადაცემული აქვს ლექსიკონის ახლად შევსებული ტექსტი მეორე გამოცემისათვის, რადგანაც მოთხოვნილება ლექსიკონზე ძალიან დიდია. ლექსიკონში დაზუსტებულია არაერთი სიტყვის მართლწერაც.

იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნიფიცირებული ნორმების დანერგვა, გაუმჯობესდეს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისათვის მიმდინარე მუშაობა და გაძლიერდეს ბრძოლა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური პერიოდული კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ სახელწოდებით. ჯერჯერობით გამოსულია სამი წიგნი, გადაცემულია გამომცემლობისათვის მეოთხე წიგნი (უნდა გამოიცეს მიმდინარე, 1981 წელს) და მზადდება სასტამბოდ მეხუთე წიგნი. თითოეული წიგნის მოცულობა 18–20 თაბახია. ამ კრებულებში დაბეჭდილი წერილები საფუძვლად ედება სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტებს.

გეგმით გათვალისწინებული საკითხების პარალელურად კომისია განიხილავდა სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათა მიერ დასმული საკითხებს და იღებდა სათანადო გადაწყვეტილებებს.

კომისია იხილავს ტერმინოლოგიურ საკითხებსაც. მაგალითად, ეკონომიკის დარგის რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერმინის გამო, რომლებზეც ეკონომისტები ვერ შეთანხმებულიყვნენ, გავმართეთ რამდენიმე სხდომა და მივიღეთ სათანადო გადაწყვეტილება.

კორესპონდენტი: როგორ ზრუნავს კომისია მის მიერ დამტკიცებული ნორმების პოპულარიზაციისა და სალიტერატურო ქართულში მათი დამკვიდრებისათვის და რა საშუალებებით აღწევს ამას?

ზ. ა. პატარიძე: „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია რომ „ქართული სალიტერატურო ენა არცთუ იშვიათად მახინჯდება პრესაში, ტელე — და რადიოგადაცემებში, ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში, კინოსა და სათეატრო დადგმებში, ფირნიშებზე, აფიშებზე, სარეკლამო გამოშვებებში და სხვ.“, ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ შაშნაწ მოისმინა სპეციალური მოხსენება პრესის ენაში ნორმათა დარღვევების შესახებ და პრაქტიკული ღონისძიებებიც დასახა. შესწავლილია ქართული ჟურნალ-გაზეთები სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით, და ამ საკითხს მიეძღვნა მთლიანად „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მესამე კრებული, რომელიც ახლახან გამოიცა კომისიის რეკომენდაციით.

შესწავლილ იქნა აგრეთვე საშუალო სკოლების სახელმძღვანელოთა ენა და სათანადო მასალა გადაეცა განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას. გამომცემლობა „განათლებასთან“ შეიქმნა მუშაკთა ჯგუფი, რომელიც პრაქტიკულად მუშაობს სახელმძღვანელოთა ენის გაუმჯობესებისათვის.

კომისიის მიერ რეკომენდებული თემატიკის მიხედვით რეგულარულად მიმდინარეობს რადიოგადაცემები რუბრიკით „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“. ამ გადაცემებში მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივ. გიგინეიშვილი და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლები. როგორც მსმენელთა წერილებიდან ჩანს, გადაცემებმა დიდი ინტერესი გამოინვია, განსაკუთრებით მასწავლებლებში.

კორესპონდენტი: რა მუშაობა უნდა გასწიოს კომისიამ მომავალში, რა პერსპექტივებია ამ მხრივ დასახული?

ზ. ა. პატარიძე: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საჭიროდ იქნა მიჩნეული უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ცნობარების გამოცემა. ამ ცნობარების მომზადება დაევალა ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციას. ამ ციკლიდან უკვე შემუშავდა ბერძნულ და ლათინურ პირთა სახელების, აგრეთვე გეოგრაფიული სახელების ქართული დამწერლობის წესები და მომზადდა სათანადო ლექსიკონი. ეს წესები დაცულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. კომისიის მიერ დადგენილი ნორმები შევა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მეორე კრებულში.

მომზადებულია აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი. მას კომისია წელს განიხილავს. დღის წესრიგში დგას სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ქართული დაწერილობის და უცხოურ პირთა სახელების ქართული დაწერილობის ორთოგრაფიული ცნობარების მომზადება. ამგვარ სახელთა ქართულად გადმოღების პრინციპები უკვე შემუშავებულია და მათ საფუძველზე მიმდინარეობს სალექსიკონო მასალის ტექნიკური დამუშავება და წინასწარი რედაქცია. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კომისია თანდათანობით განიხილავს და დაამტკიცებს ლექსიკონებში შესატანი მასალის ქართულად გადმოცემის პრინციპებს და რეკომენდაციას მისცემს აღნიშნულ ლექსიკონებს გამოსაცემად.

კომისიის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მთელი რიგი მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილისტიკური საკითხების შემდგომ შესწავლასა და სათანადო ნორმათა პროექტების დამუშავება-განხილვას. ნავარაუდევია აგრეთვე ნორმათა დაცვის თვალსაზრისით პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვისა და დაცვის მიზნით მონვეულ იქნება ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა და ლიტერატურულ მუშაკთა, დამომცემლობების ხელმძღვანელთა, ლიტერატურულ რედაქტორთა, აგრეთვე საქინფორმისა და სხვა ანალოგიური დაწესებულებების მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვისა და გავრცელების საკითხები და დაისახება სათანადო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ჟურნალ-გაზეთებში შემოღებული იქნება რუბრიკა „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხები“.

კომისიის სხდომებზე რეგულარულად მოვისმენთ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მოხსენებებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დაცვის საკითხებზე.

გაღრმავდება მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის მოთხოვნათა განუხრელი დაცვისათვის მაღაზიათა და დაწესებულებათა ფირნიშების, განცხადებების, იარლიყების, გამოფენილი საქონლის წარწერების, თეატრისა და კინოს აფიშებისა და სხვა ამგვარ ტექსტებში. უფრო ხშირად და საინტერესოდ მოეწყობა რადიოგადაცემები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმათა პოპულარიზაციის მიზნით. ტელევიზიით გადაიცემა ინფორმაციები ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის შესახებ. ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობების მუშაკთათვის მოეწყობა ერთდღიანი კურსები.

კომისიის სხდომებზე პერიოდულად მოვისმენთ საქართველოს სსრ გამსახკომისა და გამომცემლობების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გამოცემისა და სხვა ლექსიკონებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია მუდმივია. მისი დანიშნულებაა პასუხი გასცეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი ზრდა-განვითარების პროცესში წამოჭრილ საკითხებს და სწორი გზით წარმართოს ეს პროცესი.

კორესპონდენტი: დიდ მადლობას მოგახსენებთ, პატივცემულო ზურაბ, ამ მეტად საინტერესო საუბრისათვის. (საქინფორმი).

ისტორი[illegible] გაკვეთილები[illegible] უნდა დავიმ[illegible]

30 ოქტომბერს თბილისში მთავრდა სსრ კავშირისა და [illegible]ნის დემოკრატიული რეს[illegible]ლიკის ისტორიკოსთა კონ[illegible] XXX კონფერენცია, რომ[illegible] მოეწყო ამ მომძე ქვეყნების [illegible]ნიერებათა აკადემიების სამეცნ[illegible]რო ურთიერთობის გეგმით.

კონფერენციამ, რომელმაც [illegible] დღეს გასტანა, განაზოგადა [illegible] ნომიკური, იდეოლოგიური, კულ[illegible]ურული და სამეცნიერო დარგ[illegible] სსრ კავშირისა და გერმანიის [illegible]მოკრატიული რესპუბლიკის, [illegible]ჭოთა კავშირის კომუნისტური [illegible]რტიისა და გერმანიის ერთ[illegible] სოციალისტური პარტიის [illegible] შრომლობის მრავალმხრივი [illegible]ცდილება, განსაზღვრა ისტო[illegible] მეცნიერების ამოცანები მშვიდ[illegible]ისა და განიარაღებისათვის ბ[illegible]ლში. კონფერენციის მონაწ[illegible]ებმა მიიღეს განცხადება, [illegible]

„იმისათვის, რომ იცოდე, [illegible] წახვიდე, უნდა გახსოვდეს, [illegible] მოხვედი“, ასე ხატოვანად [illegible] გერმანიის დემოკრატიული [illegible] პუბლიკის მეცნიერებათა აკა[illegible]ის ვიცე-პრეზიდენტმა ჰენრიხ [illegible]ელმა, როცა საქინფორმის კო[illegible]პონდენტთან საუბარში განმ[illegible] კონფერენციის შედეგები. სა[illegible] ხაროდ, თქვა შემდეგ მეცნიე[illegible] ბირთვული უგუნურება მს[illegible]წლებში კაცობრიობის ცხოვრ[illegible] ერთ-ერთი რეალური ფაქტორი [illegible]ხდა. გამალებული შეიარაღ[illegible] რომელსაც მსოფლიოს ა[illegible] თავს ომის ახალი მომხრეები, [illegible]ლოდ ზრდის ბირთვული შეტ[illegible]ბის საფრთხეს. სწორედ ამ[illegible] გერმანელი ისტორიკოსები, რ[illegible]ლთაც კარგად ახსოვთ წარსუ[illegible] წწარე გაკვეთილები, დიდად [illegible]სებენ სსრ კავშირის თანამშ[illegible]რულ ხაზს მშვიდობისათვის ბ[illegible]ლაში. ლ. ი. ბრეჟნევის პა[illegible] „პრავდის“ კორესპონდენტის [illegible]ხვაზე იმის ახალი უცილობ[illegible] დადასტურებაა, რომ სსრ კავ[illegible] ერთგულია მშვიდობის საქ[illegible] ზრუნავს ბირთვული ომის საფ[illegible]ხის თავიდან აცილებისათვის.

კონფერენციაზე სიტყვა წარმ[illegible]ქვა საქართველოს კომპარტ[illegible] ცენტრალური კომიტეტის მეც[illegible]რებისა და სასწავლებელთა გა[illegible]ფილების გამგემ ე. ა. სეხნიაშ[illegible]მა.

30 ოქტომბერს საქართველ[illegible] კომპარტიის ცენტრალური კომ[illegible]ტის მდივანმა გ. ა. ანდრონ[illegible]ვილმა მიიღო საბჭოთა და გერ[illegible]ნელი მეცნიერების — სსრ კავ[illegible]რისა და გერმანიის დემოკრატ[illegible]ლი რესპუბლიკის ისტორიკ[illegible] კომისიის 30-ე კონფერენციის [illegible]ნაწილები.

3. შეელმა საქართველოს [illegible] პარტიის ცენტრალურ კომიტ[illegible] საჩუქრად გადასცა კ. მარქსის[illegible] ფ. ენგელსის „კომუნისტური [illegible]ტიის მანიფესტის“ პირველი [illegible]ცემის პირი.

საუბარში მონაწილეობდა საქ[illegible]თველოს კომპარტიის ცენტრ[illegible]რი კომიტეტის მეცნიერებ[illegible] სასწავლებელთა განყოფილ[illegible]მგე ე. ა. სეხნიაშვილი. (საქინ[illegible]რმი).

ჯილდოები[illegible] გადაცე[illegible]

საშვოლოს ჯილდოებს, [illegible]ლებიც სამართლიანად მიენ[illegible] ჩვენს სახელოვან სპორტსმენ[illegible] სსრ კავშირის სპორტის დამ[illegible]რებულ ოსტატებს ნონა გა[illegible] დაშვილსა და ვიქტორ სანეევ[illegible]ემატა კიდევ ერთი ჯილდ[illegible] „საქართველოს სსრ ფიზკულტ[illegible]ისა და სპორტის დამსახურებ[illegible] მუშაკის“ წოდება. ამ სა[illegible] წოდების მინიჭების სიგელები [illegible] სპბერლიკაში ფიზკულტურისა [illegible] სპორტის განვითარების დ[illegible]ნაყოფიერი მუშაობისათვის [illegible]ჯულტურელის სრულიად [illegible]ირო დღესთან დაკავშირებით [illegible] დაეცათ მათ 29 ოქტომბერს [illegible]რთველოს სსრ უმაღლესი [illegible] პრეზიდიუმში. საბჭოთა სა[illegible] საყოველთაოდ აღიარებულ [illegible] დიელებთან ერთად ეს მაღალ[illegible]ლდოები, აგრეთვე საქართვ[illegible] სსრ უმაღლესი საბჭოს პრე[illegible]უმის საპატიო სიგელები გ[illegible]რესპუბლიკის ფიზკულტურ[illegible] სპორტის მუშაკთა დიდ [illegible]

ამავე დღეს საქართველოს [illegible] საპატიო წოდების მინიჭებ[illegible]გელები გადაეცათ რესპუბ[illegible] ხელოვნების მოღვაწეებს, [illegible]ციის ორგანოებისა და პრო[illegible]ულ-ტექნიკური განათლების [illegible]ტემის მუშაკებს.

დაჯილდოებულთ სიგელებ[illegible] დასცა საქართველოს სსრ უმ[illegible]ესი საბჭოს პრეზიდიუმის თ[illegible] დომარის მოადგილემ ვ. სი[illegible] და გულითადად მიულოცა, [illegible]რა მათ ჯანმრთელობა, ბედ[illegible]ება, ახალი დიდი წარმატ[illegible] სოციალისტური სამშობლოს [illegible]ეთილდღეო შრომაში. (საქინ[illegible]მი).

თურქეთ[illegible] გენერალ[illegible] საკონსულ[illegible]

ბათუმი. 29 ოქტომბერს [illegible]ქეთის გენერალურმა კონს[illegible] ბათუმში თამოჩინ არბაევმა [illegible]ქეთის რესპუბლიკის გამოც[illegible]ბის 58 წლისთავთან და ათო[illegible]ქის დაბადების 100 წლის თ[illegible] დაკავშირებით დარბაზობა [illegible]თა.

დარბაზობაზე იყვნენ [illegible] ასსრ მინისტრთა საბჭოს თავ[illegible]მარის მოადგილე ა. მ. ტ[illegible] ბათუმის სახალხო დეპუტ[illegible] საქალაქო საბჭოს აღმასკომ[illegible] ვმჯდომარე გ. ჰ. ემირიძე, [illegible] ასსრ განათლების მინისტრი [illegible] წულკაძე, საქართველოს [illegible] მეცნიერებათა აკადემიის აკ[illegible] ლემიკოდნეობის ინსტიტ[illegible] დირექტორის მოადგილე [illegible] გიგინეიშვილი, მეცნიერების, [illegible]ლტურისა და ხელოვნების [illegible] ვაწენი, საზოგადოებრიობის [illegible] პრესის წარმომადგენლები. [illegible] ა. მ. ტაკიძემ და თ. ა[illegible] სიტყვები წარმოთქვეს. (საქინ[illegible]რმი).

● პოლონეთი

სეიმის სხდომა

ვარშავა. აქ გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მორიგი სხდომა. დეპუტატებმა მოისმინეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის გამოსვლა, აგრეთვე მთავრობის ინფორმაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის 1981 წლის რეალიზაციის თაობაზე და 1982 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვანახშირის მრეწველობასა და ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას.

● ინგლისი

რასისტული კანონი

ლონდონი. ინგლისის პარლამენტის თემთა პალატამ მოიწონა „მოქალაქეობის კანონი“, რომელიც კონსერვატიულმა მთავრობამ შეიმუშავა. ამიერიდან „ასპროცენტიან“ მოქალაქეებად ჩაითვლებიან მხოლოდ მკვიდრი ბრიტანელები. ბრიტანეთის დანარჩენი ქვეშევრდომები, როგორც ლიბერალური პარტიის წარმომადგენელმა დ. ოლტენმა აღნიშნა, „მეორეხარისხოვანი ადამიანები ხდებიან“.

ბრიტანეთის ყოფილი იმპერიის ყოფილ კოლონიებსა და სამეფონრეო ტერიტორიებში მცხოვრებ დაახლოებით 4,5 მილიონ კაცს, ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისის რეიტერის საგენტო, ჩამოერთმევა ახალი კანონის შესაბამისად „ბრიტანეთის სრული მოქალაქეობის უფლება“.

საპარლამენტო კამათის დროს „მოქალაქეობის კანონი“ ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა დაახასიათეს, როგორც „აშკარად რასისტული“.

● აშშ

მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი. აქ მყოფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა თეთრ სახლში მიიღო ამერიკის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა. ჩინელი მინისტრი შეხვდა აგრეთვე სახელმწიფო მდივან ა. ჰეიგს და პენტაგონის შეფს კ. უაინბერგერს. ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს: მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო სამხედრო ასპექტები. ამასთან დაკავშირებით მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს ა. ჰეიგის განცხადებას პრესკონფერენციაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის განიხილოს ჩინეთის თხოვნა იარაღის მიწოდების თაობაზე.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ხუან ხუასთან რეიგანის შეხვედრის შედეგ განაცხადა, რომ ისინი საერთო აზრს ადგანან საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში. როგორც განცხადებიდან ჩანს, პეკინმა ფაქტობრივად დაუთმო ვაშინგტონს ტაივანის საკითხში, დათანხმდა „ორი ჩინეთის“ არსებობას.

● ესპანეთი

სახიფათო კურსი

მადრიდი. ესპანეთის საზოგადოებრიობის მახობრივი პროტესტების მიუხედავად, დეპუტატთა კონგრესმა (ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატა) ხმის უბრალო უმრავლესობით — ასოთხმოცდაექვსი ასორმოცდაექვსის წინააღმდეგ — მოიწონა კანონპროექტი, რომელიც უფლებას ანიჭებს მთავრობას თხოვნით მიმართოს ნატოს ამ ორგანიზაციაში ესპანეთის მიღების თაობაზე.

კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, კომუნისტური პარტიის, ანდალუზიის სოციალისტური პარტიის და ზოგიერთი სხვა პარტიის დეპუტატებმა.

კენჭისყრის შემდეგ გამოსულმა ამ პარტიების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ, მიაღწია რა თავის გეგმების მოწონებას, მთავრობამ ცხადყო, თუ როგორ უგულებელყოფს იგი ქვეყნის სუვერენიტეტის ინტერესებს, გზას უხსნის ესპანეთის გადაქცევას ნატოს ბირთვულ არსენალად და საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმეს.

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საკლესიო ჟურნალი „დედამიწის ჯვრებზე“

31 ოქტომბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

ახალი სახელმწიფო

◆ **ჰავანა.** 1 ნოემბერს სენტ-ჯონსში — ანტიგუას დედაქალაქში საზეიმოდ აღმართავენ ახალი სახელმწიფოს ხუთფეროვან დროშას. მას დამოუკიდებლობა მიენიჭა ბრიტანეთის 350-წლიანი ბატონობის შემდეგ.

ანტიგუა მდებარეობს ამავე სახელწოდების კუნძულზე, აგრეთვე კარიბის ზღვაში მცირე ანტილიის კუნძულების ჯგუფში შემავალ ბარბუდასა და რედონდას კუნძულებზე. ქვეყანაში, რომლის ტერიტორია 443 კვადრატული კილომეტრია, 75 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს.

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

◆ **ჰავანა.** იამაიკის მთავრობის გადწყვეტილება, რომ გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ანტიკუბური პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა, ნათქვამია კუბის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „გრანმამ“ გამოაქვეყნა.

თუმცა ამ გადაწყვეტილების შესრულება იამაიკის ახლანდელ პრემიერ-მინისტრს ედვარდ სიაგას დაეკისრა, იგი ვაშინგტონში მიიღეს, ნათქვამია დოკუმენტში.

აღმოაჩინეს იატაკქვეშა ფაბრიკა

◆ **დელი.** იარაღის დამამზადებელი იატაკქვეშა ფაბრიკა აღმოაჩინა ინდოეთის პოლიციამ ქალაქ ჰაიდარაბადში. კონფისკებულია დიდძალი თოფი, პისტოლეტი, ტყვია-წამალი. როგორც პრესა აღნიშნავს, არალეგალურად დამზადებულ იარაღს აწვდიდნენ პროპეკინურ სეპარატისტთა ბანდებს, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში მოქმედებენ, აგრეთვე სხვადასხვა რელიგიურ-თემობრივ ორგანიზაციას.

● ჩადი

უარყოფენ მონაჭორებს

იაუნდე. ნჯამენადან მიღებული ცნობების თანახმად ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალმა მთავრობამ მეცარი ფორმით დაგმო ჭორები, თითქოს ჩადის დედაქალაქში გადატრიალების ცდა ყოფილიყო, რასაც საფრანგეთის, ეგვიპტისა და სუდანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ავრცელებენ. გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში დაგმობილია „ცრუ მონაჩმახი ქვეყანაში დაძაბული ვითარების შესახებ, რომლის მიზანია ერთმანეთს წაჰკიდონ ჩადის მთავრობის წევრები“.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ნჯამენაში მოლაპარაკება გაიმართა ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარის გუკუნი უედეისა და ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელობის წევრის სალამ ჯელუდს შორის „ორი მომე ქვეყნის პერიოდული კონტაქტების ფარგლებში“.

პარიზი. გაბონის პრეზიდენტმა ომარ ბონგომ ბრიუსელში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა უარს ამბობს აფრიკის ქვეყნების ძალების შემადგენლობაში მონაწილეობაზე, რომელთა ჩადში გაგზავნის წინადადება საფრანგეთმა წამოაყენა. ფრანს პრესის სააგენტოს დეპეშის თანახმად მან სეპტემბერში გამოთქვა აფრიკის ამ ქვეყანაში უშიშროების უზრუნველყოფი აფრიკის ქვეყნების ჯარების მუდმივი ყოფნის პერსპექტივის გამო.

ამერიკა:

ახალი ცხოვრების მაჯისცემა

1 ნოემბერს ალჟირელი ხალხი აღნიშნავს 1954-1962 წლების გმირული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დაწყების 27-ე წლისთავს. ამ ომის შედეგად საფრანგეთის „ზღვისგაღმა დეპარტამენტი“ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ალჟირელი ხალხის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ქვეყანა სოციალისტური ორიენტაციის გზაზე დააყენა და საშუალება მისცა დაეწყო ყოველგვარი ფორმის ექსპლოატაციისგან თავისუფალი ახალი საზოგადოების შენებლობა.

ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი განვითარების წლებში ქვეყანა განმტკიცდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად. საშინაო და საგარეო რეაქციის გაფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ალჟირელმა ხალხმა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში შეძლო განეხორციელებინა მასშტაბური პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

მრეწველობაში შეიქმნა სახელმწიფო სექტორი, რომელიც ამჟამად მთელი პროდუქციის 90 პროცენტს იძლევა, ნაციონალიზებულია უცხოელთის ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარდა მთავარი ბუნებრივი სიმდიდრე — ნავთობი და გაზი. დამოუკიდებლობის წლებში აიგო 660 სამრეწველო საწარმო, შეიქმნა ალჟირისათვის ახალი სამრეწველო დარგები — შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ნავთობქიმია და სხვა.

სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნაში ალჟირელ ხალხს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ჩვენი ქვეყნის დახმარებით ალჟირში აიგო ან შენდება 100-ზე მეტი ობიექტი.

სურათზე: ქალაქ ორანში ვილაიეთის (საოლქო) ადმინისტრაციული სახლის შენობა.

საკლესიის ფოტო.

● ესპანეთი

... ენციალ[illegible]

ბ ა ტ ა ვ ი ა

ბ ა ტ ა ვ ი ა

ბ ა ტ ა ვ ი ა

● იტალია

შეიპყრეს ექსტრემისტი

რომი. იტალიის პოლიციამ ტურინის მახლობლად დაჯაპატიმრა ტერორისტული ორგანიზაციის „წითელი ბრიგადების“ ერთ-ერთი მეთაური ვ. ალფერი.

კონსპირაციულ ბინაში, სადაც შეიარაღებული ექსტრემისტი შეიპყრეს, აღმოჩნდა ტერორისტთა გეგმები, იმ პირთა გვარები და მისამართები, რომლებსაც თავს უნდა დასხმოდნენ.

როგორც სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ვ. ალფერს, რომელსაც დიდხანს ეძებდნენ, პირდაპირი კავშირი აქვს ავტოსამშენებლო კომპანიის „ალფა რომეოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის რ. სანდრუჩის გატაცებასთან.

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ს ი ა ხ ლ ე ნ ი

სიმართლისა და სინათლის წარუშლელი კვალი

ბორის ძნელაძე

ოთხთვალა ფურცლები

თბილისში დარჩენით ვერავითარ სარგებლობას ვერ მოვუტანდი ამხანაგებს და კვლავ შემოვავლებ ქუთაისში წასვლა. უკვე მზად ვიყავი გასამგზავრებლად. იმ დროს ვცხოვრობდი ნათესავებთან დუშეთის ქუჩაზე, სადაც ბინა უკვე გაეჩხრიკათ. აქ იშვიათად დავდიოდი, უფრო ნაძალადევში ვიყავი ხოლმე.

გამგზავრების წინ მიველი ნათესავებთან და ვთხოვე, ცხრა საათისთვის ვაგზალზე მოეტანათ ჩემი თეთრეული და ბარგი. ველოდებოდი მეორე ზარამდე, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ. ავედი ვაგონში, დავიკავე ადგილი ფანჯარასთან, ვიხედებოდი ფანჯარაში. ვიმედოვნებდი, რომ ნათესავები მომიტანდნენ თეთრეულს. როგორც აღმოჩნდა, აი რა მომხდარა: ნათესავები აუთოვებდნენ ჩემს თეთრეულს; ამ დროს მათთან შევიდა ერთი ნაცნობი. შემთხვევით მათ უამბეს ამ ნაცნობს, რომ თეთრეული ჩემთვის იყო განკუთვნილი, მე მივემგზავრები. იგი ისეთი არამზადა აღმოჩნდა, რომ მაშინვე დაუკავშირდა განსაკუთრებულ რაზმში. ჩვენ მოგვიახლოვდნენ ჩემი ნათესავები; მათ ვუთხარი: — არ ვიცი რას გადამეკიდნენ. ვეუბნები, არ ვიცნობ ძნელაძეს. ნათესავებმაც კვერი დამიკრეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მომიყვანეს სპეციალურ განყოფილებაში. მეხუთა სტუდენტური ქუდი და შემოხვეული მქონდა ყაბალახი, რომელიც ხახეს მიფარავდა. როდესაც ოთახში შევედით, თანამშრომელმა დაადგა პორტფელი მაგიდაზე და თქვა: „რამდენი ხანია ვეძებ ძნელაძეს და ვერ მიპოვია, ვიღაც ვეზიროვი მოგიყვანე". ოთახში იჯდა მეორე თანამშრომელი, რომელიც მიცნობდა და მიუხედავად იმისა, რომ ყაბალახი მეხვია, მაშინვე მიცნო: „აგერ ძნელაძე. ის მოიყვანე". პირველმა თანამშრომელმა განცვიფრებულმა თუ გაბარებულმა წამოიძახა: „ნუთუ ეს ისაა? აკი ორ საათს უარყოფდა?" ამის შემდეგ უარყოფას აზრი არ ჰქონდა და მეც ვაღიარე. გულდასმით გამჩხრიკეს და წამიყვანეს კედიასთან. მან ბრძანა ჩემი წაყვანა სატუსალოში. მეპყრობოდნენ თავაზიანად. ზოგიერთი თანამშრომელი მელაქუცებოდა და მეუბნებოდა, რომ მხოლოდ სამსახურებრივმა მოვალეობამ აიძულა დავეპატიმრებინე. ერთი მათგანი შემპირდა, მაშინვე გამანთავისუფლებდა, თუ დავეხმარებოდი ორი კომუნისტის დაპატიმრებაში. ვიცოდი, რომ მაინც არ გამანთავისუფლებდნენ და დავიწყე მათი გაბრიყვება. ვუთხარი, რომ ვაჩვენებდი მათ ორ კომუნისტს, ოღონდ ჯერ გავეთავისუფლებინე. დავუხახელე ორი კომუნისტის გვარი, ვიცოდი, რომ ისინი დიდი ხანია მოსკოს ციხეში.

მეცნიერების აღმოჩენები

29 ოქტომბერს ორი მეცნიერული აღმოჩენაა შეტანილი სსრ კავშირის აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის გ. მჭედლიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი ეძღვნება ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულირების მექანიზმებს.

ჩვენი ტვინი დაკავშირებულია ადამიანის თითოეულ ქსოვილთან და ორგანოსთან, თქვა მეცნიერმა. იგი განუწყვეტლივ მუშაობს და ყოველ წუთში შთანთქავს დაახლოებით ლიტრ სისხლს. მიუხედავად იმისა, რა ხდება ორგანიზმში, ტვინი პირველ რიგში მოითხოვს კვებას. სისხლით მისი მომარაგების რამდენიმე წუთით შეწყვეტა სიკვდილს იწვევს.

ფიზიოლოგიაში დამკვიდრდა წარმოდგენა, თქვა შემდეგ პროფესორმა, რომ ტვინის ქსოვილში არსებული უწვრილესი არტერიები ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულატორს წარმოადგენენ. მრავალი წლის კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ აღრე უცნობი მოვლენა. თურმე, ტვინის ყველაზე დიდი — მაგისტრალური არტერიები უზრუნველყოფენ მასში სისხლის ნაკადის მუდმივობას, არტერიული წნევის ცვლილების მიუხედავად, აგრეთვე არეგულირებენ თავის ტვინის სისხლით ავსებას.

გ. მჭედლიშვილის მიერ აღმოჩენილი მაგისტრალური და პიალური არნებით სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მოვლენამ მსოფლიო აღიარება პოვა. იგი ხელს უწყობს ბიომედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკული მედიცინის პროგრესის დაჩქარებას.

მეორე აღმოჩენა ეკუთვნით მოსკოველებს — ლ. ი. კარპოვის სახელობის ფიზიკური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს. ეს აღმოჩენა, ფოტოქიმიას ეხება.

როგორც ვიცით, ყოველგვარი ნივთიერების მოლეკულები სინათლეს შთანთქავენ გარკვეული რაოდენობით — კვანტებით, ხოლო ფოტოქიმიის XX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბებული მთავარი კანონი ამბობს: ფოტოქიმიური რეაქციები წარმოიშობა მოლეკულის მიერ ერთი კვანტი სინათლის შთანთქმის შემდეგ.

მოსკოველმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გარკვეულ პირობებში მოლეკულას შეუძლია ზედიზედ შთანთქას ორი კვანტი სინათლე. ამ მრლეკულას უნარი შესწევს შქვიდეს ქიმიურ რეაქციებში, რაც არ ძალუძს ერთგზის „აგზნებულ“ მოლეკულებს.

ამრიგად, აღმოჩენის ავტორებმა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ხ. ბაღდასარიანმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. სინიცინამ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მუროცევემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა გ. შიგორინმა დასაბამი მისცეს ახალ მეცნიერულ მიმართულებას — ორკვანტურ ფოტოქიმიას.

ორკვანტური რეაქციები მიდინარეობს ლაზერული გამოსხივების ზემოქმედებით. აღმოჩენის ძირითადი პრაქტიკული ღირებულება ის არის, რომ ფოტოქიმიური რეაქციების განხორციელებისათვის, რომლებიც ენერგიის დიდ დანახარჯებს მოითხოვს, ახლა შეგვიძლია გამოვიყენოთ მარტივი და ხელმისაწვდომი გამოსხივების წყაროები, რომლებსაც საფუძვლად უდევს მოლეკულის მიერ მცირე ენერგიის კვანტების თანამიმდევრული დაგროვების პრინციპი. (საკადესის კორ.).

დიდი დაძაბულობის მაჩჩი

მთავარი მსაჯის შენიშვნები

დიდი სიამოვნებით მივიღე საბჭოთა საკადრაკო ფედერაციის წინადადება მეესწრა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ალექსანდრიას მატჩისათვის მსოფლიოს პირველობაზე. მე ამ მოვალეობას 1975 წელსაც ვასრულებდი ბიჭვინთასა და თბილისში გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას ოროთბრძოლ ი ს დროს. წინასწარვე უნდა ვთქვა, რომ ისევე, როგორც მაშინ, შეჯიბრების ორგანიზაცია, მართლაც რომ შესანშნავი იყო — დიდი მადლობა მასპინძლებს!

წინა მატჩიდან მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი ნანა ალექსანდრიას თამაშს, ნათელი წარმოდგენა მქონდა მისი სტილის თავისებურებებზე. მაია ჩიბურდანიძეზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ უშუალოდ თამაშში არასოდეს მენახა.

თუ ამ შეჯიბრების 1975 წლის ოროთბრძოლას შევადარებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პრეტენდენტი შესამჩნევად გაიზარდა. პარტიის ყველა სტადიას ალექსანდრია ახლა უკეთ ატარებს, ვიდრე აღრე. ამიტომაც იყო, რომ ეს მატჩი ესოდენ მძაფრი აღმოჩნდა.

რა შეიძლება ითქვას მსოფლიო ჩემპიონის თამაშზე? ჩიბურდანიძე ძალიან ძლიერი მოჭადრაკეა, გამორჩეცა დიდი ერუდიციით, ანალგაზრდა ასაკის მიუხედავად დიდი სათამაშო გამოცდილებითა და გონებამახვილობით. ამ მატჩში შეიძლება მას არ გაუმართლა, ეტყობა ჯეროვან დონეზე არ იყო მაია მომზადების ხარისხი (ამიტომაც იღებდა ასე ხშირად უარეს პოზიციებს), მაგრამ ამის კომპენსაციას ჩემპიონის დიდი შეუპოვრობა ეწეოდა. მომავალში ჩემპიონი, უეჭველად, უდიდეს წარმატებებს მიაღწევს.

ნანა ალექსანდრია, პირიქით, პირდაპირ დიდებულად მოემზადა. მან შესანშნავად იცოდა, რა უნდა მოემოქმედა არა მარტო მაიას ძირითადი დებიუტების წინააღმდეგ (ფელინდიური, სიცილიური), არამედ იმ შემთხვევებშიც, თუ ჩემპიონი სხვა დასაწყისებს გამოიყენებდა. ხომ ნახეთ, როგორ კარგად ითამაშა პრეტენდენტმა მაშინ, როდესაც შეგვხვდა გრიუნფელდის ან ანალინდური დაცვა. იმასაც, რომ უკვე შუა მატჩისათვის ჩიბურდანიძე იძულებული გახდა მკვეთრად შეეცვალა თავისი სადებიუტო რეპერტუარი და მიემართა ისეთი დასაწყისებისათვის, რომელთაც, ეს ადვილად იცნობდა, იმოქმედა მატჩის შემდგომ მსვლელობაზე. საერთოდ, შეიძლება ასე ითქვას: ალექსანდრია მეტი ენერგიით თამაშობდა, მეტს უტვიდა, მაგრამ ნერვიულობდა და დაძაბულობას ვერ უძლებდა. რაც შეეხება ტაქნიკას, იგი ჩემპიონს უფრო მაღალი აქვს, ვიდრე პრეტენდენტს. გავიხსენოთ, როგორ დონეზე წარმართა მან დაახლოებით თანაბარი ენდშპილი მეცხრე პარტიაში, გამოიყენა ალექსანდრიას ძნელად შესამჩნევი შეცდომები. ბევრი სხვა მოჭადრაკე ამ დაბოლოებას არც კი ითამაშებდა, ყაიმს დასჯერდებოდა. საერთოდ, მე ადრეც შემიმჩნევია, რომ ქალებს გაცილებით უფრო მეტი საბრძოლო სულისკვეთება აქვთ, ვიდრე ვაჟებს. აქვე უნდა შეგნიშნო, რომ ჩვენს მატჩში არა ყოფილა არც ერთი „დიდოსტატური ყაიმი“.

საერთო შედეგი მეტ-ნაკლებად ობიექტურია — ამჯერად მეტოქეები დაახლოებით თანაბრად თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ჩემპიონიც და პრეტენდენტიც უკეთეს შედეგს ელოდნენ. ჩიბურდანიძე, ორი ქულით რომ დაწინაურდა, ეტყობა, ნაადრევად დამშვიდდა, ალექსანდრიამ კი ხელიდან გაუშვა მოგება მეთოთხმეტე პარტიაში.

ვინ შეიძლება გახდეს პრეტენდენტი შემდეგ ციკლში? ჩემი აზრით, რეალური პრეტენდენტი ახლა სამია: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. გაფრინდაშვილი იმიტომ, რომ გაფრინდაშვილია — დიდი კლასისა და ტალანტის მოჭადრაკე, მას ახლა ისეთი ასაკი აქვს, მოჭადრაკესაგან ახალ-ახალ წარმატებებს უნდა მოელოდე. რა თქმა უნდა, მსოფლიო პირველობის დაკარგვის შემდეგ ნონა ადრინდელივით ვეღარ თამაშობდა, მაგრამ ახლა, ჩემი აზრით, ისევ დაიბრუნა ჩინებული ფორმა. ნანა ალექსანდრიას ვასახელებ იმიტომ, რომ მან სხვებზე უკეთ იცის მომზადება, მეცნიერული მეთოდებით, საკუთარი თამაშის თავისებურების გათვალისწინებით. ამ მატჩში მან ნათლად დაამტკიცა, თუ რა შეუძლია. მე თვალყურს ვადევნებ ნანა იოსელიანის დიდ წარმატებებს. ცხადია, მას ბრწყინვალე ტალანტი აქვს და სათანადო სპორტული ღირსებებიც.

მე ერთი შენიშვნა მაქვს მატჩის რეგლამენტის მიმართ. მისი ძალით, მეტოქეები კვირაში სამჯერ თამაშობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ კვირაში ერთხელ თითქმის აუცილებელი ტაიმ-აუტია, გამოდის, რომ რეალურად სულ ორი პარტიაა. ეს ძალიან ცოტაა. მომდევნო პარტიის ასეთი გაუთავებელი ლოდინი მეტოქეებზე უარყოფითად მოქმედებს. უფრო სწორი იქნება, თუ ახალი რეგლამენტი გაითვალისწინებს კვირაში 4 პარტიის გამართვას.

მიროსლავ ფილიპი,
საერთაშორისო დიდოსტატი, საერთაშორისო არბიტრი (ჩეხოსლოვაკია).

მცენარეს იცავენ, მკურნალობენ

ნაყოფიერად შრომობს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი, რომ თავიდან აიცილოს მცენარეს მავნებელ-დაავადებანი. ამაში თავისი წვლილი შეაქვს გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილებას.

პირველ ფოტოზე აღბეჭდილი არიან გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები (მარცხნიდან): ლ. ხუსკივაძე, განყოფილების გამგე გ. გოდერძიშვილი და ვ. ქუმსიაშვილი ციტრუსოვანთა მავნებლებზე დაკვირვების დროს.

მეორე ფოტოზე თქვენ ხედავთ გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილების უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ლ. ღვინჯილიას, რომელიც სწავლობს ბოსტნის უმთავრესი მავნებლის ზღვრებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შემუშავების საკითხებს. ამ სისტემამ გაიარა საწარმოო გამოცდა და თავისი ჰიგიენური მოთხოვნებით მაღალ დონეზე დგას.

მესამე ფოტოზე: ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა შედეგებს აღრიცხავენ განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები (მარცხნიდან) ი. ჩხიკვაძე, ნ. მჭედლიშვილი, კ. კიკორია და დ. ფარულავა.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ხეივნის ნორჩი მუსიკოსები

ბაბრა. (*„კომუნისტის“ საკ. კორ. ი. გოგეჩია*). შესანიშნავი სარეკლამო ადგილია სოფელ ხეივნის მცხოვრებლებმა. აქ გაიხსნა სამუსიკო სკოლა. სკოლა დაკომპლექტდა გამოცდილ პედაგოგთა კადრებით. უკვე მოეწყო პირველი მისაღები გამოცდები და შერჩეულია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული 30 მოსწავლე.

ეს საინტერესოა

ვერცხლში ჩამჯდარი ზურმუხტი

ისიკ-ყული — ტბა ქალაქის ადგილზე

ინ ტბათა შორის, რომლებიც ზღვის დონიდან 1200 მეტრზე და უფრო მაღლა მდებარეობენ, ისიკ-ყული (ზღვის დონიდან 1608 მ) სიდიდით (6236 კვ. კმ) მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში მდებარე ტიტიკაკას ჩამორჩება, სიღრმით კი (700 მ) ბადალი არა ჰყავს.

ისიკ-ყული ქართულად „ცივ ტბას“ ნიშნავს და მართლაც არასდროს იყინება. არადა, ამ რეგიონში შემავალი ყველა მდინარე ზამთრობით ყინულის არტახებში ექცევა ხოლმე. ვარაუდობენ, რომ ისიკ-ყული 600-700 მეტრ სიღრმეში ცხელი შენაკადებით იკვებება, მაგრამ ამის მტკიცება ძნელია — ტბაში ამ სიღრმეზე ჩასვლა ხომ ჯერაც ვერ მოუხერხებიათ მკვლევრებს.

ცხელი ტბა ზამთრობით ანდამატივით იზიდავს ჩრდილოეთის მძლეავრთ. აქ განსაკუთრებით ბევრს ნახავთ თეთრ და შავ გეზს.

ისიკ-ყულში დაახლოებით 40 მდინარე ჩაედინება და არც ერთი არ გაედინება. ამდენად, მისი დონე, თითქოს, უნდა მაღლდებოდეს, მაგრამ პირიქით კი ხდება. უკანასკნელ 40 წლის მანძილზე ტბის დონემ ორი მეტრით ეკიდა და მეცნიერები ამტკიცებენ, ტბაში დამატებით მთის რამდენიმე მდინარე თუ არ მივუშვით, ცუდი დღე დაგვდგებაო.

ყირგიზეთს ისიკ-ყულის ტბაზე მრავალი საინტერესო ლეგენდა აქვთ, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულმა არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო. უძველეს დროს, თურმე ტბის ადგილზე მდიდრული და ლამაზი ქალაქი მდებარეობდა, რომლის შენობათა გუმბათები მთის მწვერვალებივით ქათქათებდა. ქალაქს განაგებდა მრისხანე ხანი, რომელიც კალმით ნახატ ქალიშვილს თავისი სარკმელიდან ერთხელ მოხდენილი, მამაცი ჯიგიტი დაუნახავს და შეჰყვარებია, მაგრამ მამას არ უნდოდა, შვილი ღარიბი კაცისათვის მიეთხოვებინა და იგი მდიდარ და ბოროტ კაცისათვის გაუყოლებია. ქალიშვილის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონია, მაგრამ მას ცა და მიწა დახმარებიან. მიწა შეირყა და ქალაქი დაანგრია, ხოლო ცამ ისე მოიხსნა პირი, ისეთი თავსხმა წამოვიდა, რომ ქალაქის ადგილზე ტბა გაჩნდა, იმასაც ამბობენ, ტბა რომ მლაშეა, ეგ იმ უბედური გოგოს ცრემლების ბრალიაო.

არქეოლოგები ლეგენდის „ნაკვალევს“ გაჰყვნენ და მართლაც „მიადგნენ“ ჩაძირულ ქალაქს. მეცნიერები ამ ქალაქს VIII-X საუკუნეებით ათარიღებენ და ფიქრობენ, რომ იგი ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილაყო. უფრო ძველი დროის ნაშნები — კლდის მოხატულობა აღმოაჩინეს ტბის მახლობლად მდებარე ალატოოს მთებში.

ისიკ-ყული და მისი ახლომახლო მთები დიდი ხანია იზიდავდა მოგზაურებს. ცნობილმა რუსმა მეცხიერმა კ. სემენოვ-ტიან-შანსკიმ, რომელმაც გასული საუკუნის შუა ხანებში ნახა ეს ტბა, მას „თოვლიანი მთების მოვერცხლილ ბუდეში ჩასმული ზურმუხტი უწოდა“.

დღეს საიდან ჩამოსულ სტუმრებს არ ნახავთ ისიკ-ყულის ტბაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კავკასიისა და ყირიმის შემდეგ ყველაზე პოპულარულ დასასვენებელ ადგილად იქცა. ზღვის წყალი, მთის ჰაერი, სამკურნალო ტალახი, მინერალური წყლები, სამხრეთის მზე და ტყე — ბუნების სიმდიდრეთა ასეთი შერწყმა მართლაც იშვიათია. ყოველივე ამას კი ისიც ემატება, რომ ტბის წყალი ჯანმთელობისათვის ესოდენ აუცილებელ ნატრიუმის, კალციუმის, კალიუმის, მანგანუმის, ქლორისა და რკინის მარილებს შეიცავს. აქ უმეტესად ჰიპერტონიით, ათეროსკლეროზით, მიოკარდიის ინფარქტით და სხვა სენით შეპყრობილ ადამიანებს მკურნალობენ.

ისიკ-ყულზე ყოველწლიურად ერთდროულად 20 ათასი კაცი ისვენებს, მომავალში კი, როგორც პროექტი ითვალისწინებს, მათი რიცხვი რამდენჯერმე გაიზრდება. ამ საკურორტო რაიონის შემდგომი განვითარებისათვის დიდძალი სახსრებია გამოყოფილი. მაგალითად, პროექტის პირველი რიგის მშენებლობას, რომელიც 1935 წელს უნდა დასრულდეს, 1,2 მილიარდი მანეთი მოხმარდება, მისი ფართობი 23 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. გათვალისწინებულია, რომ ისიკ-ყულზე დამსვენებლებს მოემსახურების მხოლოდ ელექტროენერგიით მომუშავე ტრანსპორტი, რათა მანქანების გამონაბოლქვმა არ გააჭუჭყიანოს ჰაერი. დაიწყეს ახალი ტყეების გაშენება, რამაც თავისთავად წყლის დონის სტაბილურობასაც უნდა შეუწყოს ხელი.

აასის მასალებიდან მიხეიდვით.

საგზაგადოების ფართო მხარდაჭერით

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია იმ მრავალრიცხოვანი ღონისძიებების გახსენება, რომლებიც სისტემატურად ეწყობა, გზებსა და გზაჯვარედინებზე სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური **მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება**, რომელიც კარგა ხანია ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა და ყოველწლიურად ორჯერ — გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებში ეწყობა. დათვალიერება ხელს უწყობს ტრანსპორტზე სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ამცირებს გზებზე უბედურ შემთხვევებს და მათ შედეგად მოწეულ მატერიალურ და მორალურ ზარალს.

წლეულს, 9 თვეში რესპუბლიკაში რამდენადმე გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი, არასახარბიელო ოპერატიული მდგომარეობაა ამ მხრივ მთელი რიგი რეგიონების საავტომობილო მაგისტრალებზე. აღნიშნულ პერიოდში რესპუბლიკაში მოხდა 2050 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 622, ხოლო დაშავდა 2541 ადამიანი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით **1-დან 30 ნოემბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება.** იგი, როგორც ყოველთვის, მიზნად ისახავს მოსახლეობასა და მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, ავტოსატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების კოლექტივების, აქტიურ ჩაბმას მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში, ავტოსატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ მოთხოვნილებების გაზრდას ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისათვის, ეკუნძებისა და გზების შემოწმებას, მათ მომზადებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ექსპლოატაციისათვის.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მხარდამხარ დათვალიერებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები, სპეციალიზებული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები.

საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, „ცეკავშირის“ გამგეობას და „საქსასოფტექნიკას“, აგრეთვე სხვა სამინისტოებსა და უწყებებს, რომლებსაც ავტოსატრანსპორტო საწარმოები აქვთ, დაევალათ მუშაკების გამოყოფა სახელმწიფო ავტოინსპექციის დასახმარებლად. მათთვე მოვალეობაა განუმარტონ თითოეულ ტრანსპორტელს დათვალიერების მნიშვნელობა და ამოცანები, საერთო კრებებისა და ამხანაგური სასამართლოების მსჯელობის საგნად გადახადონ მძღოლების მიერ შრომის დისციპლინისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა თითოეული ფაქტი.

ყურადღების გამახვილება მართებთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომ არ დაუშვან ტექნიკურად გაუმართავი და მგზავრების გადასაყვანად მოუწყობელი სატვირთო ავტომობილები მშრომელთა გადაყვანა სამუშაო ადგილებზე.

დათვალიერება ითვალისწინებს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამიზნულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სატრანსპორტო ტრავმატიზმის საკითხების დაეთმობა.

ლოთობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და მათი ძმიმე შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მრავალი ეფექტიანი ღონისძიების მიუხედავად ჯერაც საკმაოდ ხშირია ნასვამი მძღოლების მიერ მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევები, რაც ხშირად სავალალო მთავრდება. დათვალიერების პერიოდში ყველაზე უშიშათო ბრძოლა იწარმოებს ასეთი კატეგორიის მძღოლების წინააღმდეგ და საერთოდ მოძრაობის ყველა იმ მონაწილის მიმართ, რომელიც არად აგდებს დაკანონებულ წესებს.

ცხადია, დათვალიერების ღონისძიებათა წარმატება, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მინიმუმამდე შემცირება ბევრად არის დამოკიდებული არა მხოლოდ სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობაზე, არამედ მოძრაობის ყველა მონაწილის, თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაზეც, საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერაზეც. სწორედ ეს გარემოება შექმნის იმის საფუძველს, რომ დათვალიერებამ შეასრულოს დასახული მიზანი — ჩვენი რესპუბლიკის გზებსა და გზაჯვარედინებზე სრული წესრიგი დამყარდეს.

ლ. გოგრგოძე,
რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — XI ხუთწლედი სასურსათო პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი ეტაპია.

ამ ნომერში დაბეჭდილია წერილები: ზ. ერქომაიშვილის — რაიონი ახალი ამოცანების წინაშე; შ. კერესელიძის — ჩაის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მწერალი და ცხოვრება“; „მეცხოველეობა“; „მებაღეობა და მევენახეობა“; „ეკონომიკა და ორგანიზაცია“; „მიწათმოქმედება“; „მექანიზაცია“.

„საბჭოთა მედიცინა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის შესახვედრად“; „პრობლემა — ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა“; „თეორიული და კლინიკური მედიცინა“; „პრაქტიკოსი ექიმის დასახმარებლად“; „სიახლე მედიცინაში“; „სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია“; „ინტერვიუ“; „დეონტოლოგია“; „ჩვენი კალენდარი“; „წერილები, კორესპონდენციები“; „ქრონიკა და ინფორმაცია“.

ლუიჯი მაგაროტო

ქვეყანა ლეგენდასა და სინამდვილეს შორის

ვზივარ თვითმფრინავში „მოსკოვი-თბილისი“. უკან დარჩა რუსეთის წყნარი პეიზაჟი, თავისი მდორე მდინარეებით. გამოჩნდა კავკასიონი მარად დათოვლილი მთებით, რომელთაგან გამოირჩევა იალბუზი და ყაზბეგი. აი, თვითმფრინავმა გეზი საქართველოს დედაქალაქისაკენ აიღო.

საქართველო თავისი სიმშვენიერით ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იზიდავდა უცხოელებს, გავიხსენოთ „მითი, არგონავტებზე. სულ ახლო წარსულში კი ზღაპრული სილამაზით თავისკენ მიიზიდა მწერლები, ხელოვანნი.

მაღალი ისტორიულ-კულტურული დონე უმალ მიიპყრობს თბილისში მოხვედრილი უცხოელის ყურადღებას. შემთაბიჯეს თუ არა დედაქალაქში, მტკვრის პირას აღმართულია შესანიშნავი სკულპტურა. ეს მონუმენტური ძლიერი ფიგურა საქართველოს ისტორიის სიმბოლოა. იგი ვახტანგ გორგასალია, მეფე, რომელმაც ლეგენდის თანახმად დააარსა თბილისი და გაიხადა იგი სამეფოს დედაქალაქად. მანამდე დედაქალაქი იყო მცხეთა, პატარა და უძველესი ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სადაც ამჟამად ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებია დაცული.

თბილისი მრავალეროვანი ქალაქია. ქართულ ენაზე ლაპარაკობს საქართველოში მცხოვრები 5 მილიონიდან 3 მილიონზე მეტი. ქართული ენა არ შედის ინდოევროპულ ენათა ჯგუფში, არც თურქულში. იგი ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, რომელშიც შემავალ ენათა რიცხვიც 30-40-ით განისაზღვრება. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საზელგანთქმული ქართველი ლინგვისტის ა. ჩიქობავას კლასიფიკაციით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი ოთხ დიდ და მრავალრიცხოვან ქვეჯგუფად იყოფა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იბერიულ-კავკასიური ენები მხოლოდ კავკასიაშია გავრცელებული. მონათესავე ბასკური ენა, რომელზედაც იბერიის ნახევარკუნძულზე ლაპარაკობენ.

ამ ენათა შორის ტრადიციულად ყველაზე უძველესად ქართული ენა ითვლება. ჩვენამდე მოღწეული პირველი სამწერლებო ძეგლები ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით თარიღდება. ქართული ენა შემდგომ საუკუნეებში თანდათან განვითარდა და გაფურჩქვნის მაღალ დონეს XII საუკუნეში მიაღწია, როცა გენიალური ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი ქმნის შუა საუკუნეების ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრთაგანს „ვეფხისტყაოსანს“. სიყვარულის ეს უდიდესი ეპიკური ტილო ნათელი დადასტურებაა ქართული ლიტერატურის განვითარებისა XII საუკუნეში, ქართული რენესანსის ეპოქაში, თამარის დროს, რომელიც შემდეგ შენელდა მონღოლთა შემოსევების გამო. მათ გარდა, საქართველოს სულ მუდამ თავს ესხმოდნენ ძლიერი მეზობლები, თურქები და სპარსელები, რის გამოც ერთ ხანს დაეცა საქართველოს ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრების რიტმი.

XVI-XVIII საუკუნეებში მრავალი იტალიელი მისიონერი ჩამოდიოდა და შემდეგ ცხოვრობდა ამ ქვეყანაში, ისინი მონაწილეობდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში და ყველაფერს თავის რელაციებში აღწერდნენ. მხოლოდ მეოცე საუკუნეში გამოჩნდა ევროპასთან ურთიერთობის საუცხო შედეგი როგორც ლიტერატურაში, ისე ხელოვნებაში. გავიხსენოთ ევროპის სხვადასხვა ხოლმე მიმდინარეობა და მისი ექო ქართულ ინტელექტუალურ ცხოვრებაში. დიდი ქართველი პოეტების გ. ტაბიძის და პ. იაშვილის სიმბოლიზმი, დიდი მხატვრების დ. კაკაბაძისა და ლ. გუდიაშვილის კუბიზმი.

ქართული სუფრა, ჩემი დაკვირვებით, რიტუალურია, საკმაოდ სასიამოვნო და მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს პასუხსაგ ბ ი, რომლის ნორმები და წესები მკაცრად არის განსაზღვრული. ნადიმის დასაწყისში თანამესუფრენი ირჩევენ სუფრის თავს, თამადას, რომელსაც ევალ ე ბ ა კარგად გაუძღვეს სუფრას. მასზეა დამოკიდ ებული, როგორ ჩატარდება პურობა. სუფრაზე მხიარულება უნდა იყოს, თვითონ თუ არ მღერის, რაც იშვიათია, ბანი მაინც უნდა უთხრას და სიმღერა აიყოს სუფრაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სიმღერები ძალზე პოლიფონიურია. სუფრასთან ასრულებენ „სუფრულს“, „მრავალჟამიერს“. პირველად თამადამ უნდა შესთავაზოს თანამეინახეთ სადღეგრძელო რიგის მიხედვით.

საინტერესოა ის, რომ სუფრაზე არა მარტო დამსწრეთა სადღეგრძელო ისმევა, არამედ იმათიც, ვინც არ ესწრება — ესენია ჩუენგან წასული შობლების ხსოვნის, ნათესავების, მეგობრების, დედამამიშვილების, მოხუცი მშობლების, ბოლოს კი სიყვარულის, პოეზიის, მშვიდობის... თამადის სიტყვას შემდეგ, რომელიც ხმირად გრძელია, თითოეულმა თანამესუფრემ უნდა წარმოთქვას სადღეგრძელო. ერთი სიტყვით, ქართული სუფრა უბრალოდ ჭამასმის ადგილი კი არ არის, აქ შესაძლოა გადაწყდეს ბევრი საჭირბოროტო საკითხი, მაგალითად, შეხვედრების, კამათის, სიყვარულის, ნიშნობის, სხვადასხვა მოლაპარაკების...

საქართველო მაღალი კულტურის ქვეყანაა. საინტერესოა მისი ისტორია, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი. საუკუნეთა მანძილზე მის ტერიტორიაზე გადიოდა საქარავნო გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. და იდეალური ხიდის როლს ასრულებდა ამ ორი სამყაროს კულტურებს შორის. ეს პოზიცია საშუალებას აძლევდა გამდიდრებულიყო მისი კულტურაც, თუმცა ამასთან ერთად, ყოველთვის ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული სახე. ამის ნათელი დადასტურებაა თითოეული ქართველის განსაკუთრებული სიყვარული მშობლიური მიწისადმი, ენისადმი, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალზე შორს არის ნაციონალიზმისაგან.

მრავალ ქარცეცხლიან ბრძოლაში გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი მატერიალური და სულიერი კულტურა. გასული საუკუნის დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა, ქართველმა მეფემ სწორად გადაჭრა ბედი ქართლისა, როცა იგი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირაო.

იტალიურიდან თარგმნა
ზაირა სტურუა.

ბელგიის ამბავი

1 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ივარეკიშვილი ჩვენთან ერთად“ (მ.), 10.00 — „ზოკმბე“ 10.30 — „თქვენთვის, პაგარების!“, „ცეროდენას ეკრანი“, 10.50 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 12.00—„ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45—„პოეზიის ხუთი წუთი“, 12.50 — შევიხსენოთ რუსული ენა, 13.20 — „ხალხური შემოქმედება“ — მელოდიის ანსამბლი „სანავარგო“, 14.00—„ბელეკურსელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში დოცენტი თ. კეკენაძეიძე), 14.30 — „ვესტნიკი“, 15.00 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 15.05 — „თქვენთვის, პაგარების!“, მულტიპლიკაციური ფილმები, 15.30 — „ილუზიონი“, 17.20 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 17.25 — ჟურნალისტების შენიშვნა სა